# თანამშრომლობის მემორანდუმი

04. 06. 2020 წ.

ქ. ბათუმი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ"), წარმოდგენილი რექტორის მოადგილის, პროფესორის **თამარ სირაძის** მიერ და მეორე მხრივ **სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო"** ს/კ245631428, შემდეგში **„აჭარის სატყეო სააგენტო"**), წარმოდგენილი უფროსის **თემურ ყურშუბაძის** მიერ (შემდეგში „მხარეები"), თანხმდებიან პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

**მხარეთა უფლება–მოვალეობები:**

1. **„აჭარის სატყეო სააგენტო"** უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სატყეო საქმე"** (პროგრამა - წინამდებარე მემორანდუმის **დანართი 1**) პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის გავლას, მათი პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით:

   **ა)** მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით შეთანხმებული პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის ფარგლებში ( 20 პროფესიული სტუდენტი).

   **ბ)** წინამდებარე მემორანდუმში აღნიშნული პროგრამის **სასწავლო გეგმის** გათვალისწინებით (სასწავლო გეგმა - წინამდებარე მემორანდუმის დანართი 2);

   **გ)** წინამდებარე მემორანდუმში აღნიშნული პროგრამის **მოდულებში** (წინამდებარე მემორანდუმის დანართი 3, დანართი4, დანართი 5, დანართი 6, დანართი 7);

   **დ)** „აჭარის სატყეო სააგენტოს" **მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე** (წინამდებარე მემორანდუმის დანართი 8).

2. **მხარეები:**

   ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);

   ბ) უზრუნველყოფენ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებს, როგორც უნივერსიტეტის, ასევე „აჭარის სატყეო სააგენტოს" ბაზაზე;

   გ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;

   დ) მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახავენ პროფესიულ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების და დადასტურებების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხებს.

3. წინამდებარე მემორანდუმის დანართები შეადგენენ ამ მემორანდუმისა და შემდეგში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები:

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

„ბსუ“

(მისამართი:

ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35/რუსთაველის N32)

**თამარ სირაძე**

რექტორის მოადგილე - პროფესორი

„აჭარის სატყეო სააგენტო“

მისამართი: ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის

გამზირი 51 აჭარის სატყეოს სააგენტოს

უფროსი

თემურ ყურშუბაძე